

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2016 წლის იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 10 374 024.0 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 8 580 032.1 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 246 291.0 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 88 717.2 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 1 458 983.8 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (8 580 032.1 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (8 546 800.0 ათასი ლარი) 100.4%;

– გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 7 980 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 7 986 750.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.1%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 066 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 034 072.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 99%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 086 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 978 136.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 94.8%.

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (1 055 936.5 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (980 000.0 ათასი ლარი) 107.7%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 0.3 ათასი ლარი.

– წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 4 814 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4 356 051.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.5%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 802 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 286 393.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 86.4%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 069 658.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 012 000.0 ათასი ლარი) 105.7%-ია;

– წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 75 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 70 040.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.4%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-დეკემბერში შეადგინა 526 585.0 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 246 800.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 296 827.0 ათასი ლარი (რაც გეგმის 120.3%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 117 611.3 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 97 318.2 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 25 825.1 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 56 072.4 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 320 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 296 454.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 92.6%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 20 351.1 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-დეკემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (246 291.0 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (225 000.0 ათასი ლარი) 109.5%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (71 300.4 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (73 000.0 ათასი ლარი) 97.7%;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (174 990.6 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (152 000.0 ათასი ლარი) 115.1%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 340.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 167%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 171 650.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (150 000.0 ათასი ლარი) 114.4%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 88 717.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (90 000.0 ათასი ლარი) 98.6%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 87 994.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (90 000.0 ათასი ლარი) 97.8%;

აქციები და სხვა კაპიტალი - 718.5 ათასი ლარი;

სხვა დებიტორული დავალიანების სახით ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩაირიცხა – 4.4 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 1 458 983.8 ათასი ლარი (რაც გეგმის – 1 456 150.0 ათასი ლარის 100.2%–ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 378 381.9 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 1 080 601.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 076 150.0 ათასი ლარი) 100.4%–ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 822 450.8 ლარი (რაც გეგმის – 821 150.0 ათასი ლარის 100.2%–ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 465 518.2 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 356 932.6 ათასი ლარი.

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 258 151.1 ათასი ლარი,

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 339 601.1 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი

ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-დეკემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 378.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 361.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 595.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2017 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 704 151.7 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 703 550.2 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 208.3 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დასაფინანსებლად („აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია“) – 393.1 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 185 000.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 81 789.9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2016 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული 8 580 032.1 ათასი ლარის მოცულობით (წლიური გეგმა 8 546 800.0 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 8 741 830.8 ათასი ლარი (წლიური გეგმა 8 721 874.2 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა -161 798.7 ათასი ლარი (უარყოფით), წლიური გეგმა -175 074.2 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 416 109.4 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 246 291.0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 662 400.4 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -577 908.2 ათასი ლარი(უარყოფითი), წლიური გეგმა -616 655.5 ათასი ლარი(უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 10 297 950.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 9 335 000.0 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 962 950.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 10 314 020.1 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 10 292 234.1 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 9 338 444.4 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 953

789.6 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99.8%, ხოლო გეგმის 99.9%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-დეკემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 90.7%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 9.3%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-დეკემბერში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 452 256.5 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 453 808.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 452 292.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 114 023.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 1 123 419.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 117 790.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.5%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 100.3%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 402 564.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 397 707.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 397 707.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.8% და ვალდებულების 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 202 696.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (202 696.1 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 195 011.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (195 011.2 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის გეგმამ შეადგინა 321 188.3 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 336 321.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 333 993.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.3%-ს და გეგმის 104%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის გეგმით განისაზღვრა 48 928.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 48

906.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.96% და ვალდებულების (48 906.4 ათასი ლარი) 100-ია%.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის გეგმამ შეადგინა 969 328.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 960 452.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (960 712.9 ათასი ლარი) 100% და საგეგმო მაჩვენებლის 99.1%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-დეკემბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 903 690.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (903 788.1 ათასი ლარი) 100%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-დეკემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 150 058.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (3 150 248.3 ათასი ლარი) 100% და საგეგმო პარამეტრის (3 150 597.5 ათასი ლარი) 100%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის გეგმით განისაზღვრა 2 247 987.3 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 2 247 866.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 570 957.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 570 957.3 ათასი ლარი) და გეგმის 100%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 648 442.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 648 435.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100% და ვალდებულების (648 437.3 ათასი ლარი) 100%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 847 423.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 847 332.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.99% და ვალდებულების (847 366.9 ათასი ლარი) 100%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის გეგმა განისაზღვრა 1 311 914.8 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 332 894.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 329 537.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.7%-ს და გეგმის 101.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 517 154.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 517 090.1 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (517 154.8 ათასი ლარი) 99.99%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 50 805.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 50 804.1 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ შეადგინა 50 804.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის გეგმით განისაზღვრა 666 581.3 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 670 867.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 662 400.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.7%-ს და გეგმის 99.4%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 411 360.9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 413

451.0 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (405 890.5 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.2% და საგეგმო მაჩვენებლის – 98.7%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 512 029.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 495 607.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 495 571.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 96.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 22 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 22 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 41 300.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (41 300.0 ათასი ლარი) და ვალდებულების 100%-ია; ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 19 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 397 465.4 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 392 432.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 392 431.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის 98.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 332 486.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (332 486.2 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 59 945.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (59 946.5 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2016 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 9 404 231.2 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 780 878.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 799 419.3 ათასი ლარი) 99%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი

ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 357 605.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (366 750.0 ათასი ლარი) 97.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 20.1%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 397 647.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (402 505.0 ათასი ლარი) 98.8% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 2.3%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 719 883.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 722 372.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (8 297 056.6 ათასი ლარი) 7.7%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 012 807.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 010 806.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.7%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 565 282.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (564 108.0 ათასი ლარი) 100.2%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (110 690.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (112 871.5 ათასი ლარი) 98.1%; სასჯელადსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 129 092.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (129 482.5 ათასი ლარი) 99.7%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 122 208.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 111 049.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (63 767.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (64 266.0 ათასი ლარი) 99.2%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (230 196.4 ათასი ლარი), გეგმის (234 518.9 ათასი ლარი) 98.2% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 649 868.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 645 659.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.3%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 50 646.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 62 850.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 124.1%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 51 823.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 51 407.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.2%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 28 290.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 28 577.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 101%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 959 553.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 982 504.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 102.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი

მოცულობის 10.4%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 722 226.2 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (722 162.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 100%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (161 419.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (143 308.4 ათასი ლარი) 112.6%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 42 196.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (42 623.3 ათასი ლარი) 99%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 247 456.4 ათასი ლარით, რაც 2016 წლის გეგმიური მაჩვენებლის (239 397.8 ათასი ლარი) 103.4%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 45 156.9 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (45 200.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 100.1%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1 022 295.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 024 740.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.2% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.9%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 523 688.2 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (524 011.7 ათასი ლარი) 99.9%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 139 155.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (136 131.7 ათასი ლარი) 102.2%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 2 410 419.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 410 167.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.6%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1 579 764.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 579 764.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 658 519.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (658 575.2 ათასი ლარი) 100%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ასორ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 974.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 4 860.1 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 114.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხმოცდათხუთმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 173 653.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 172 872.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 იანვრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 781.1 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდარვა შემთხვევაში შეადგინა სულ 310 177.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 309 196.5 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 იანვრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 980.8 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორ შემთხვევაში შეადგინა სულ 19 114.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 18 754.8 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 იანვრისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 359.4 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 48 498.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 48 926.6 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად

განისაზღვრა 9 105.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 9 105.0 ათასი ლარი („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 40 700.0 ათასი ლარი. აქედან, ვალდებულების კლების მუხლით: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 25 073.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 25 073.1 ათასი ლარი); სახელმწიფო აუდიტის სამსახურს – 625.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 625.0 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 3 272.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 3 272.5 ათასი ლარი), სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას 10.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 10.0 ათასი ლარი); ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 11 719.4 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 11 313.8 ათასი ლარი).

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 1 976.1 ათასი ლარი, ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 2 809.7 ათასი ლარს, ხოლო მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 866.3 ათასი ლარს.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 11 313.8 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2016 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.